ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6448381

ნომერი: AR1963845

თარიღი : 01.05.2023

გაცემის თარიღი : 05.05.2023

გაცნობის თარიღი : 05.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:

- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 01 მაისს №AR1963845 განცხადებით მომართა ავთანდილ ნაცვალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, პურის მოედანი №1/პურის მოედანი №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 10 თებერვლიდან 2023 წლის 10 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად იქნა მითითებული სამზარეულოს ფართობი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს სამზარეულოს ფართობად 96.4 კვ.მ-ის ნაცვლად 54.7 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია გასწორებული „პროექტის შემადგენლობა და ტექნიკური მაჩვენებლები“-ს ფურცელი.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებით შეთანხმებულ -3.92 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს სამზარეულო, რომლის ფართობად როგორც გეგმაზე ასევე ექსპლიკაციაზე მითითებულია 54.7 კვ.მ. თუმცა, ამავე ბრძანებით შეთანხმებულ „პროექტის შემადგენლობა და ტექნიკური მაჩვენებლები“-ს ფურცელში (ძეგლის არქიტექტურული პროექტის პდფ ფაილის მე-2 ფურცელი) სამზარეულოს ფართობად 54.7 კვ.მ-ის ნაცვლად ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად 96.4 კვ.მ დაფიქსირდა. სამსახურმა ასევე, დაადგინა, რომ სამზარეულოს ფართობის გასწორება არ იწვევს საერთო ფართობის დაზუსტებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული „პროექტის შემადგენლობა და ტექნიკური მაჩვენებლები“-ს ფურცელი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი „პროექტის შემადგენლობა და ტექნიკური მაჩვენებლები“-ს ფურცლით (ძეგლის არქიტექტურული პროექტის პდფ ფაილის მე-2 ფურცელი).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 თებერვლის №6323017 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.